ტემპუსის პროექტი თსუ მედიცინის ფაკულტეტზე

Tempus Project at Faculty of Medicine (Tbilisi State University)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი ევროგაერთიანების პროგრამისTEMPUS-ის ფარგლებში ჩართულიაპროექტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის სამაგისტრო პროგრამა“ (511303-JPCR) განხორციელებაში. პროექტის კოორდინატორია პროფესორი ვინსენტ ობრაიანი, კუმბრიის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი).

Tbilisi State University Faculty of Medicine is participant of the TEMPUS project (511303-JPCR) „ Masters Programmers in Public Health and Social Services” . The coordinator of the project is Professor Vincent O’Brien - University of Cumbria (United Kingdom).

პროექტი მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის სფეროში თანამშრომლობას პარტნიორი ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებთან, გამოცდილების გაზიარებას, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, პროგრამის განხორციელებაში

მონაწილე აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, მოცემული პროგრამის სტუდენტებისათვის ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვას და განვითარებას, უახლესი სასწავლო ლიტერატურით მომარაგებას.

The aims of the Project are: development of collaboration with partner Universities in the sphere of Public Health and Social Services, exchange of experience, elaboration modern educational programs relevant to the European standards, trainings for the rising of the level of teaching skills of academics of Public Health Department, application and development of new informational technologies for students, purchasing of the latest academic literature in Public Health and Social Care.

პროექტმა სტარტი აიღო 2010 წლის 15 ოქტომბერს, მისი ხანგრძლივობაა სამი წელი.

TEMPUS project (511303-JPCR) ,, Masters Programmers in Public Health and Social Services" started on 15 October 2010, the duration of the project is 3 years.

პროექტში ევროპის ქვეყნებიდან ჩართულები არიან შემდეგი პარტნიორი უნივერსიტეტები: კუმბრიის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი), ბაიბის-ბოლიაის სოციალური კვლევის უნივერსიტეტი (რუმინეთი), ტექნოლოგიების სამეფო ინსტიტუტი KTH (შვედეთი),პოსტ საბჭოთა სივრციდან პროექტში მონაწილეობას ღებულობენ ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (სომხეთი), კიშინოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სახელმწიფო სამედიცინო დაფარმაცევტული უნივერსიტეტი (მოლდავეთი), ხოლო საქართველოს მხრიდან ჩვენი პარტნიორია საქართველოს უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა.

The participant of the project are: the University of Cumbria (United Kingdom), Babes-Bolyai Institute for Social Research of Cluj-Napoca (Romania), Royal Institute of Technology –KTH (Sweden), Yerevan State University and Yerevan State Medical University (Armenia), Moldova State University and State Medical and Pharmaceutical University "Nicolae Testemitanu" (Moldova) and from Georgia partner is University of Georgia, School of Public Health.

2011 წლის 31 იანვრიდან 4 თებერვლის ჩათვლით პირველი სამუშაო ვიზიტი განხორციელდა ერევანში (სომხეთი). თსუ მედიცინის ფაკულტეტიდან სამუშაო ვიზიტში მონაწილეობა მიიღეს: საზოგადოებრივი ჯანდაცვის ასოცირებულმა პროფესორებმა ნინო ჩიხლაძემ, ნატა ყაზახაშვილმა და ლაშა ლორიამ. ვიზიტის მიზანი იყო კონსორციუმის წარმომადგენელებთან შეხვედრა და მათიგაცნ ობა, პარტნიორ ქვეყნებში საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურების სფეროში არსებული მდგომარეობის შეფასება, ამ მიმართულებით თითოეულ ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო და საკვალიფიკაციო ჩარჩოების, საგანმანათლებლო პროგრამების განხილვა, საჭიროებების იდენტიფიკაცია, სამომავლო ნაბიჯებისა და სამოქმედო გეგმის შეთანხმება.

Within the project frame, Academic staff of Department of Public Health, Associate Professor Nino Chikhladze (Project Manager), Associate Professor Nata Khazakhashvili and Associate Professor Lasha Loria had working visit in Yerevan (Armenia) during January 31-February 4. Purpose of the visit was meeting with the consortium representatives and the introduction of the, arrangement kick-off meeting, overview of current public health and social assistance situation in involved countries, education legislation and national qualification frameworks, discussion about future steps and action plan, etc.

სამუშაო კვირის განმავლობაში ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელშიც კო ნსორციუმის წევრი უნივერსიტეტების წარმომადგენლების გარდა მონაწილეობა მიიღეს სომხეთის ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სამინისტროების წარმომადგენლებმა. სიმპოზიუმზე განხილული იქნა მონაწილე ქვეყნების საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის სისტემები, სათანადო კანონმდებლობა, არსებული პრობლემები და პერსპექტივები. საერთაშორისო სიმპოზიუმზე თსუ მედიცინის ფაკულტეტის სახელით წარმოდგენილი იქნა პრეზენტაციები საქართველოში საზოგადოებრივ ჯანდაცვაში არსებული მდგომარეობის, საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის თანამედროვე და პროგნოზირებადი ტრენდების, ფაკულტეტზე მიმდინარე სამაგისტრო პროგრამის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვა'' (პროგრამის ხელმ. ასოცირებული პროფესორი ნატა ყაზახაშვილი) შესახებ.

During the working week, the International Symposium was held, focusing on the recent situation in Public Health and Social Welfare Systems in the participating countries, current legislation, existing problems and perspectives. Dr. Lasha Loria presented the overview of current Health trends and future of Public Health in Georgia, also the structure (Program Director Dr. N. Khazakhashvili) of Master Program in Public Health.

ყოველდღე ევროპელ პარტნიორებთან ერთად მიმდინარეობდა მცირე ჯგუფებში მუშაობა, რომლის დროსაც განხილული იქნაკონსორციუმის წევრ უნივერსიტეტებში ამჟამად არსებული საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური დახმარებისსამაგ ისტრო პროგრამების სუსტი და ძლიერი მხარეები, დაისახა განვითარების პერსპექტივები.

In the small groups we were working to analyze master programs, current weakness and strength assessments and challenges, perspectives of development. At the end of week the farther Activity Plan had developed.

შემდეგი სამუშაო შეხვედრა შედგება 7 -14 მაისს კუმბრიის უნივერსიტეტში (დიდი ბრიტანეთი).

პროექტში მონაწილე თსუ მედიცინის ფაკულტეტის წარმომადგენლები ამჟამად მუშაობენ პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის დისემინაციაზე.

The next meeting will be at the University of Cumbria (UK) in May 7-14. Current activity of participants is dissemination of information about the Project ,, Masters Programmers in Public Health and Social Services”.